ზღვარს ზემოთ ანგარიშგების ფორმა საბროკერო კომპანიისათვის

ინფორმაცია მონიტორინგის განმახორციელებელი პირის შესახებ

მონიტორინგის განმახორციელებელი პირი _____

(მგპ–ის ტიპი, ლიცენზიის/რეგისტრაციის/ნებართვის ნომერი, სახელწოდება)

ანგარიშგების ფორმის N _____ გამოგზავნის თარიღი _____

(თქვენს მიერ მინიჭებული ნომერი) *(რიცხვი/თვე/წელი)*

ზღვარს ზემოთ მონიტორინგს დაქვემდებარებულ გარიგებათა კატეგორიები:

☐წარმომდგენზე ფასიანი ქაღალდებით შესრულებული გარიგება

☐საეჭვო ფინანსური ინსტიტუტის მონაწილეობით განხორციელებული გარიგება (ოპერაცია)

☐ფასიანი ქაღალდებით საყურადღებო ზონაში მყოფი და რეგისტრირებული პირის მიერ შესრულებული გარიგება

☐ფასიანი ქაღალდებით საყურადღებო ზონაში მოქმედი ბანკის საბანკო ანგარიშის გამოყენებით შესრულებული გარიგება

☐ ფასიანი ქაღალდებით საეჭვო ზონაში მყოფი და რეგისტრირებული პირის მიერ შესრულებული გარიგება

☐ ფასიანი ქაღალდებით საეჭვო ზონაში მოქმედი ბანკის საბანკო ანგარიშის გამოყენებით შესრულებული გარიგება

☐ნაღდი ფულით შესრულებული გარიგება

ანგარიშგების (გარიგების, ოპერაციის) დამატებითი პარამეტრი[1]:

☐ გარიგებათა (ოპერაციათა) ერთობლიობა ☐ უჩვეულო

– –

პასუხისმგებელი თანამშრომლის სახელი და გვარი

☐ *ინფორმაცია შესრულებული გარიგების შესახებ*

☐ *ინფორმაცია დადებული გარიგების შესახებ*

☐ ინფორმაცია დამატებით შესრულებული გარიგების შესახებ[2]

☐ ინფორმაცია დამატებით დადებული გარიგების შესახებ[3]

გარიგების შესრულების/დადების თარიღი _____ *(რიცხვი/თვე/წელი)* გარიგების ღირებულება _____ *(თანხის ოდენობა, ვალუტა)*

გარიგების საფუძველი _____

გარიგების შესრულების/დადების ადგილი _____ *(ქვეყანა)* მისამართი _____

გარიგების დაწყების (დადების) თარიღი[4] _____ *(რიცხვი/თვე/წელი)* გარიგების დასრულების თარიღი[3] _____ *(რიცხვი/თვე/წელი)*

გარიგების სახე[5] _____

გარიგების ფორმა[6] _____ საბირჟო[7] ☐ დიახ ☐ არა

გარიგების საგანი[8] _____

ფასიანი ქაღალდი[9]

ემიტენტის სრული დასახელება	*სამართლებრივი ფორმა[10]*	*ფასიანი ქაღალდების კლასი[11]*	*რაოდენობა*	*თანხის ოდენობა, ვალუტა*

მონაცემები გარიგების რეგისტრაციის (დამოწმების) შესახებ:

მარეგისტრირებელი პირის სახელწოდება _____

რეგისტრაციის თარიღი _____ *(რიცხვი/თვე/წელი)* რეგისტრაციის ნომერი _____

გარიგებაში მონაწილე პირები:

სახელი, გვარი / სახელწოდება[12]	*პირადი/საიდენტიფიკაციო ნომერი ან საბანკო ანგარიშის ნომერი[13]*	*მონაწილეობის ფორმა[14]*

– –

_____

პასუხისმგებელი თანამშრომლის სახელი და გვარი

ინფორმაცია ფიზიკური პირის შესახებ

სახელი _____ გვარი _____ სქესი ☐მამრ. ☐მდედრ.

დაბადების თარიღი _____ მოქალაქეობა _____
(რიცხვი/თვე/წელი)

დაბადების ადგილი _____ არარეზიდენტი[15] ☐
(ქვეყანა, დაბადების ადგილი)

პირადი ნომერი _____ მისამართი _____

სამუშაო ადგილი,
თანამდებობა[16] _____

ტელეფონი _____ მობილური _____ ელ. ფოსტა _____

პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სახეობა[17] _____

გამცემი ქვეყანა _____ გამცემი ორგანო _____

დოკუმენტის ნომერი _____ ვადა _____ –დან _____ –მდე
(რიცხვი/თვე/წელი) *(რიცხვი/თვე/წელი)*

პოლიტიკურად აქტიური პირი[18] ☐ კომენტარი[19] _____

ტერორიზმთან კავშირი[20] ☐

<u>საბანკო რეკვიზიტები</u>

ბანკის საიდენტიფიკაციო კოდი _____ სახელწოდება _____

საბანკო დაწესებულების ქვეყანა _____ ადგილმდებარეობა _____

ანგარიშის სახეობა[21] _____ ანგარიშის ნომერი _____

ანგარიშის გახსნის თარიღი _____ დახურვის თარიღი _____
(რიცხვი/თვე/წელი) *(რიცხვი/თვე/წელი)*

<u>მონაცემები ინდივიდუალური მეწარმის შესახებ</u>

სრული
სახელწოდება _____ გადასახადის გადამხდელის საიდ. N _____

რეგისტრაციის ნომერი _____ თარიღი _____ ორგანო _____
(რიცხვი/თვე/წელი)

– –

პასუხისმგებელი თანამშრომლის სახელი და გვარი

ინფორმაცია იურიდიული პირის შესახებ

სრული სახელწოდება _____

გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი _____

სამართლებრივი ფორმა[9] _____

მარეგისტრირებელი ქვეყანა _____ ორგანო _____

რეგისტრაციის ნომერი _____ თარიღი _____ არარეზიდენტი[14] ☐

(რიცხვი/თვე/წელი)

საქმიანობის
საგანი[15] _____

საეჭვო ფინანსური ინსტიტუტი ☐ დიახ

იურიდიული მისამართი _____

ფაქტიური მისამართი _____

ტელეფონი _____ ელ. ფოსტა _____

სამართლებრივი აქტი ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შექმნილია ეს ორგანიზაციული წარმონაქმნი _____

_____

ტერორიზმთან კავშირი[19] ☐

<u>საბანკო რეკვიზიტები</u>

ბანკის საიდენტიფიკაციო კოდი _____ სახელწოდება _____

საბანკო დაწესებულების ქვეყანა _____ ადგილმდებარეობა _____

ანგარიშის სახეობა[20] _____ ანგარიშის ნომერი _____

ანგარიშის გახსნის თარიღი _____ დახურვის თარიღი _____

(რიცხვი/თვე/წელი) *(რიცხვი/თვე/წელი)*

<u>ხელმძღვანელები, წარმომადგენლები, დამფუძნებლები, ბენეფიციარი მესაკუთრეები[22]</u>

სახელი, გვარი / სახელწოდება[23]	*წილის მფლობელობა ან მმართველობაში მონაწილეობა*[24]	*ბენეფიციარი*[25]
		☐
		☐
		☐
		☐
		☐
		☐
		☐

პასუხისმგებელი თანამშრომლის სახელი და გვარი

მონიტორინგის განმახორციელებელი პირი _____

(მგპ–ის ტიპი, ლიცენზიის/რეგისტრაციის/ნებართვის ნომერი, სახელწოდება)

დამატებითი ინფორმაცია ანგარიშგებაზე # _____ [26], თარიღი _____

(რიცხვი/თვე/წელი)

_____ _____

პასუხისმგებელი თანამშრომლის სახელი და გვარი

განმარტებები

ფინანსური მონიტორინგის სამსახურში იგზავნება ანგარიშგების ფორმის მხოლოდ ის ნაწილები, რომლებიც შევსებულია დადგენილი წესით. ფორმის ეს ნაწილი არ უნდა მოხვდეს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გასაგზავნ ანგარიშგებაში.

გარიგების, ფიზიკური და იურიდიული პირების ნაწილების ველები, გარდა ამ ნაწილებს შორის კავშირებისა, ივსება ელექტრონულ ანგარიშგებათა შევსების ანალოგიური წესით, „მომხმარებლის სახელმძღვანელოს“ მიხედვით.

ფინანსური მონიტორინგის სამსახურში გამონაკლის შემთხვევაში ამ ანგარიშგების ფორმის წარდგენის შემდეგ, ტექნიკური შესაძლებლობის გაჩენისთანავე, სამსახურს ანგარიშგების იგივე ფორმა უნდა წარედგინოს ელექტრონულად, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

---

[1] **გარიგებათა (ოპერაციათა) ერთობლიობა** მოინიშნება, როდესაც სამსახურში იგზავნება ანგარიშგება დანაწევრების მიზნით განხორციელებულ გარიგებათა (ოპერაციათა) ერთობლიობის შესახებ. ერთ–ერთი ამ გარიგებათაგან (ოპერაციათაგან) აღიწერება ანგარიშგების ფორმის მონიტორინგს დაქვემდებარებულ გარიგების (ოპერაციის) ნაწილში, ხოლო დანარჩენი გარიგებები (ოპერაციები) – დამატებით ნაწილში. შესაბამისი განმარტება უნდა გაკეთდეს "დამატებითი ინფორმაციის" ველში "კომენტარი".

უჩვეულო მოინიშნება, როდესაც ანგარიშგებაში აღწერილი რომელიმე ოპერაცია ან გარიგება მგპ–ს მიერ მიჩნეულია უჩვეულოდ. ასეთ შემთხვევაში "დამატებითი ინფორმაციის" ველში "კომენტარი" უნდა განიმარტოს შესაბამისი ოპერაციის ან გარიგების უჩვეულოდ მიჩნევის მიზეზი. დაუშვებელია ანგარიშგება შეივსოს და გაიგზავნოს სამსახურში მხოლოდ ამ პარამეტრის მონიშვნით.

[2] მოინიშნება იმ შემთხვევაში, როდესაც მოცემულ ნაწილში აღიწერება შესრულებული გარიგება, რომელიც ცალკე არ ექვემდებარება მონიტორინგს და წარმოადგენს მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგების დამატებას.

[3] მოინიშნება იმ შემთხვევაში, როდესაც მოცემულ ნაწილში აღიწერება დადებული გარიგება, რომელიც ცალკე არ ექვემდებარება მონიტორინგს და წარმოადგენს მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგების დამატებას.

[4] ივსება მხოლოდ დადებული გარიგების შემთხვევაში.

[5]**გარიგების სახე** აირჩევა ჩამონათვალიდან: ფასიანი ქაღალდების გადაცემა ნომინალურ მფლობელობაში; ფასიანი ქაღალდების მინდობილობით ან მართვალში გადაცემა; გარიგება ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული სხვა მომსახურების გაწევის თაობაზე; ფასიანი ქაღალდების ნასყიდობა; ფასიანი ქაღალდების ჩუქება; ფასიანი ქაღალდების დაგირავება; ფასიანი ქაღალდების გაცვლა; ფასიანი ქაღალდების მემკვიდრეობით მიღება; ფასიანი ქაღალდების გადაცემა სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე; საწესდებო კაპიტალში ფასიანი ქაღალდების შეტანა; საწესდებო კაპიტალში შენატანის უკან დაბრუნება (გამოსყიდვა); ფასიანი ქაღალდების შეძენა ემისიის (განთავსების) შედეგად; ფასიანი ქაღალდების სესხება; ფასიანი ქაღალდების გასესხება; საჯარო ფასიანი ქაღალდების ყიდვა; საჯარო ფასიანი ქაღალდების გაყიდვა; ფასიანი ქაღალდების გადაცემა უცხოური ფინანსური ინსტიტუტის მფლობელობაში; ფასიანი ქაღალდების გადაცემა; ფასიანი ქაღალდების გადაცვლა გლობალურ სადეპოზიტარო ხელწერილებში; საბროკერო ანგარიშიდან ფულადი სახსრების გადარიცხვა; საბროკერო ანგარიშზე ფულადი სახსრების ჩარიცხვა; ფასიანი ქაღალდებით ოპერაციებისათვის გამოყოფილი სახსრების მართვა; ფასიანი ქაღალდების განთავსება გარანტირებულ საფუძველზე; ფასიანი ქაღალდების განთავსება არაგარანტირებულ საფუძველზე; ფასიანი ქაღალდების შენახვა/აღრიცხვა; საკუთარი სახსრებით კლიენტისთვის ფასიანი ქაღალდების შეძენა; კონსულტაციები ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებით; უცხოური ვალუტის გაყიდვა; უცხოური ვალუტის ყიდვა; სხვა.

[6] **გარიგების ფორმა** აირჩევა ჩამონათვალიდან: დადასტურებული ან დამოწმებული წერილობითი გარიგება; მარტივი წერილობითი გარიგება; ზეპირი გარიგება.

[7] ივსება მხოლოდ შესრულებული გარიგების შემთხვევაში.

[8]უნდა მიეთითოს ის კონკრეტული ნივთი, მატერიალური ფასეულობა ან არამატერიალური უფლება, რომელიც ამ გარიგების საგანს წარმოადგენს, ან მომსახურება, სამუშაო, რომელიც უნდა შესრულდეს გარიგების თანახმად.

[9]ფასიანი ქაღალდ(ებ)ით გარიგების შესრულებისას, ქვემოთ მოცემულ გრაფაში(გრაფებში) აღიწერება ფასიანი ქაღალდ(ებ)ი, ემიტენტის სრული დასახელების, ფასიანი ქაღალდების კლასის და რაოდენობის მითითებით.

[10] **ორგანიზაციულ–სამართლებრივი ფორმა** აირჩევა ჩამონათვლიდან: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება(შპს); სააქციო საზოგადოება (სს); სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს); კოოპერატივი; კომანდიტური საზოგადოება (კს); სახაზინო(საბიუჯეტო) დაწესებულება; საჯარო სამართლის იურიდიული პირი; ამხანაგობა; ფონდი; კავშირი (ასოციაცია)/არარეგისტრირებული კავშირი; მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება–პარტია/საარჩევნო ბლოკი; რელიგიური ორგანიზაცია; საერთაშორისო ორგანიზაცია/წარმომადგენლობა; უცხოური საწარმო/უცხოური საწარმოს ფილიალი ან წარმომადგენლობა; უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირი/ფილიალი ან წარმომადგენლობა; უცხო ქვეყნის დიპლომატიური(მათ შორის საკონსულო) დაწესებულება; არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირი; სხვა.

[11] **ფასიანი ქაღალდების კლასი** აირჩევა ჩამონათვალიდან: ჩვეულებრივი; პრივილეგირებული; სხვა.
[12] გარიგებაში თითოეული მონაწილის მონაცემების შევსება იწყება ახალი სტრიქონიდან. მოცემულ ველში ფიზიკური პირისათვის იწერება სახელი და გვარი, ხოლო იურიდიული პირისათვის – სახელწოდება.
[13] ეს ველი ივსება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ანგარიშგებაში უნდა აღიწეროს სხვადასხვა პირი ერთიდაიგივე სახელითა და გვარით (ფიზიკური პირის შემთხვევაში) ან ერთიდაიგივე სახელწოდებით (იურიდიული პირის შემთხვევაში). ველში უნდა ჩაიწეროს რომელიმე – პირადი/საიდენტიფიკაციო ნომერი (შესაბამისად, ფიზიკური ან იურიდიული პირის შემთხვევაში) ან საბანკო ანგარიშის ნომერი, იმის მიხედვით, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება აღწერილი სხვადასხვა პირების გამორჩევა.
[14] **გარიგებაში მონაწილეობის ფორმა** განისაზღვრება ჩამონათვალიდან: მხარე; მხარის წარმომადგენელი; მესამე პირი; მესამე პირის წარმომადგენელი; ფასიანი ქაღალდების გამსხვისებელი; ფასიანი ქაღალდების გამსხვისებელის წარმომადგენელი; ფასიანი ქაღალდების შემძენი; ფასიანი ქაღალდების შემძენის წარმომადგენელი; ფასიანი ქაღალდების დამგირავებელი; ფასიანი ქაღალდების დამგირავებელის წარმომადგენელი; ფასიანი ქაღალდების მოგირავნე(კრედიტორი); ფასიანი ქაღალდების მოგირავნე(კრედიტორი)–ის წარმომადგენელი; ფასიანი ქაღალდების მსესხებელი; ფასიანი ქაღალდების მსესხებელის წარმომადგენელი; ფასიანი ქაღალდების გამსესხებელი; ფასიანი ქაღალდების გამსესხებელის წარმომადგენელი; სხვა პირი; სხვა პირის წარმომადგენელი. დაუშვებელია პირს არ განესაზღვროს “მონაწილეობის ფორმა”.
[15] მოინიშნება, თუ პირი არარეზიდენტია საქართველოს კანონმდებლობის (საგადასახადო კოდექსის) შესაბამისად.
[16] თუ პირი წარმოადგენს ამავე ანგარიშგებაში აღწერილი იურიდიული პირის ბენეფიციარს ან/და წილის მფლობელს – უნდა მიეთითოს აგრეთვე წილის რაოდენობა პროცენტებში, მაგალითად „შპს ინტერკონტინენტალი, დირექტორის მოადგილე, ს/ს „კოსმოსის“ 35 %–ის მფლობელი.
[17] **პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სახეობა** აირჩევა ჩამონათვლიდან**:** საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა; საქართველოს მოქალაქის პასპორტი; უცხო ქვეყნის მოქალაქის პასპორტი; ბინადრობის მოწმობა; პირადობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი.
[18] მოინიშნება, თუ პირი პოლიტიკურად აქტიურია კანონმდებლობის მიხედვით.
[19] უნდა ჩაიწეროს თანამდებობა ან საქმიანობის საგანი, ნათესაური ან საქმიანი კავშირი, რის გამოც პირი ჩაითვალა პოლიტიკურად აქტიურად კანონმდებლობის შესაბამისად.
[20] მოინიშნება, თუ პირი შეტანილია ტერორისტთა ან ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიაში ან შესაძლებელია დაკავშირებული იყოს მათთან.
[21] **ანგარიშის სახეობები** აირჩევა ჩამონათვალიდან: საანგარიშსწორებო (მიმდინარე); საკორესპონდენტო; სადეპოზიტო (ანაბარი); მიზნობრივი; სასესხო; საბარათე; საკასო მომსახურების; სატრანზიტო; სხვა.
[22] თითოეული ხელმძღვანელის, წარმომადგენლის, დამფუძნებლის ან/და ბენეფიციარი მესაკუთრის მონაცემების შევსება იწყება ახალი სტრიქონიდან პირის სახელწოდებით ან სახელითა და გვარით. აღინიშნება აგრეთვე ბენეფიციარი მესაკუთრის კავშირი ამ იურიდიულ პირთან.
[23] ველში ფიზიკური პირისათვის იწერება სახელი და გვარი, ხოლო იურიდიული პირისათვის – სახელწოდება.
[24] იწერება მონაცემები მოცემული იურიდიული პირის წილის მფლობელობის ან მართვაში მონაწილეობის შესახებ. მაგ.: 35% აქციების მფლობელი, ფინანსური დირექტორი და სხვა.
[25] მოინიშნება, თუ პირი წარმოადგენს მოცემული იურიდიული პირის ბენეფიციარ მესაკუთრეს.
[26] ნომერი მიეთითება იმ შემთხვევაში, თუ დამატებითი ინფორმაცია იგზავნება ადრე გამოგზავნილ ანგარიშგებაზე.